MYVIDEO TV BOX

მოწყობილობის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება #BOX/16/02/375_02

ქ.თბილისი 14 მარტი 2016 წელი

1. მხარეები

ერთის მხრივ

საფირმო სახელწოდება	სს „აი თი დი სი“
საიდენტიფიკაციო კოდი	404399664
იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი, მხატვრების დასახლება №7
წარმომადგენელი	გენერალური დირექტორი
სახელი, გვარი	მამუკა მონავარდისაშვილი
შემდგომში მოხსენიებული	ITDC

მეორეს მხრივ

საფირმო სახელწოდება	შპს „საქართველოს მელიორაცია“
საიდენტიფიკაციო კოდი	204524568
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ფაქტიური მისამართი	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ანგარიშსწორების ანგარიში	GE58BG0000000182323100
წარმომადგენელი	გენერალური დირექტორი
სახელი, გვარი	ლევან დვალი
ID ნომერი	IO1626924
საკონტაქტო ნომერი	591515353
შემდგომში მოხსენიებული	„კლიენტი“

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს1” ქვეპუნქტისა და მოხსენებითი ბარათის შ-5923 საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი
   2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ITDC გადასცემს კლიენტს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით დროებით სარგებლობაში MYVIDEO TV BOX-ის მოწყობილობას (აპარატურას), მასში ინსტალირებული MYVIDEO-ს პროგრამული უზრუნველყოფით. (CPV-92220000)
   2.2. ამ ხელშეკრულებით კლიენტი კისრულობს ვალდებულებას MYVIDEO TV BOX-ის მოწყობილობის დროებითი სარგებლობის სანაცვლოდ გადაუხადოს ITDC-ის ყოველთვიური ქირა, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და წესით.
   2.3. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით მოპოვებული უფლებით MYVIDEO TV BOX-ის სარგებლობაზე დაგვიანებით სარგებლობა და/ან მისი გამოუყენებლობა არ განაპირობებს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობების გადახედვასა და/ან ყოველთვიური ქირის გადახდაზე კლიენტის მხრიდან უარის თქმის უფლებას/შესაძლებლობას.

3. MYVIDEO TV BOX-ის სარგებლობაში გადაცემის შესახებ
   3.1. ITDC გადასცემს კლიენტს დროებით სარგებლობაში MYVIDEO TV BOX-ს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობით, წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს.
   3.2. MYVIDEO TV BOX-ის კლიენტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა წარმოებს კლიენტის მისამართზე, მოწყობილობის ინსტალაციითა და ფუნქციონირების / ექსპლოატაციის ვარგისიანობის შემოწმებით.
   3.3. MYVIDEO TV BOX-ის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლითაც იმავდროულად ადასტურებენ ამ მოწყობილობის ინსტალაციასა და საექსპლოატაციო ვარგისიანობას.
   3.4. MYVIDEO TV BOX-ის ტექნიკური წუნის (ნივთობრივი ნაკლის) აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული არ იქნება კლიენტის მხრიდან სარგებლობის წესების დარღვევითა და სარგებლობისას შემთხვევითი დაზიანება / განადგურების

_____ ITDC

_____ კლიენტი

რისკით, ITDC უზრუნველყოფს საკუთარი შეხედულებით აღნიშნული წუნის / ტექნიკური შეფეხების აღმოფხვრასა და/ან MYVIDEO TV BOX-ის გამოცვლას, კლიენტის პრეტენზიის საფუძვლიანობის დადგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

3.5. შემდგომში ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის თავიდან არიდების მიზნით MYVIDEO TV BOX-ის ტექნიკური წუნის შესახებ ITDC-ის უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ და წარედგინოს მოწყობილობა შესამოწმებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძოდ კი პრეტენზიის გაცხადებამდე და MYVIDEO TV BOX-ის შემოწმებისათვის წარმოდგენამდე არსებულ პერიოდზე კლიენტი არ თავისუფლდება ყოველთვიური ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

4. MYVIDEO TV BOX-ით სარგებლობის წესები

4.1. MYVIDEO TV BOX -ით სარგებლობა / ექსპლოატაცია კლიენტის მიერ დაიშვება მხოლოდ მასში ინსტალირებული MYVIDEO-ს პროგრამული აპლიკაციით ინტერნეტ წვდომისათვის.

4.2. დაუშვებელია:

4.2.1. MYVIDEO TV BOX -ში ინსტალირებული MYVIDEO-ს პროგრამული აპლიკაციის ცვლილება;

4.2.2. MYVIDEO TV BOX -ში სხვა პროგრამული აპლიკაციის ინსტალირება;

4.2.3. MYVIDEO TV BOX -ის შიგთავსის (მიკრო ჩიპებისა და სქემების) ცვლილება და რაიმე სახის მათზე ზემოქმედება;

4.2.4. MYVIDEO TV BOX -ის შეფუთვის ერთიანობის დარღვევა და მისი გახსნა;

4.2.5. MYVIDEO TV BOX -ის ტექნიკური ექსპლოატაცია არასტაბილური დენის წყაროს პირობებში;

4.2.6. MYVIDEO TV BOX -ის შენახვა ფეთქებად და ცეცხლსაშიშ გარემოში;

4.2.7. MYVIDEO TV BOX -ის შეფუთვაზე რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედება, მათ შორის ნებისმიერი ქმედებით დაზიანება, გამოყენება სხვა დანიშნულებითა და მასზე რაიმე ნივთის განთავსება;

4.2.8. MYVIDEO TV BOX -ის შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია დაბინძურებულ გარემოში;

4.2.9. MYVIDEO TV BOX -ის შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია ნესტიან გარემოში;

4.2.10. MYVIDEO TV BOX -ის დასველება და მისი განთავსება წყალში;

4.2.11. MYVIDEO TV BOX -ის შენახვა, განთავსება და ექსპლოატაცია მაგნიტური ზემოქმედების გარემოში;

4.2.12. MYVIDEO TV BOX -ის ფუნქციონირება შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებისა და წინაპირობების გარეშე;

4.2.13. MYVIDEO TV BOX -ში ინსტალირებული MYVIDEO-ს პროგრამული აპლიკაციის დამოუკიდებლად და/ან სხვა მიზნით გამოყენება, გარდაქმნა, ცვლილება, დამატება კოპირება, რეპროდუცირება და მესამე პირებისათვის გადაცემა;

4.2.14. ტექნიკური წუნის და/ან სხვა სახის ტექნიკური შეფერხების აღმოჩენის / ფიქსირების შემთხვევაში MYVIDEO TV BOX -ის შემდგომი გამოყენება.

4.3. MYVIDEO TV BOX -ის დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემასთან ერთად კლიენტზე გადადის შემთხვევითი განადგურებისა და დაზიანების რისკი მანამ, ვიდრე აღნიშნული მოწყობილობა უკან არ იქნება დაბრუნებული ITDC-ისათვის.

4.4. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ITDC არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ დამატებით ტექნიკური მოწყობილობის, (ტელევიზორი, როუტერი, მოდემი და ა.შ) წინაპირობის, გარემოსა და მათ შორის ინტერნეტის ხარისხზე, რომელთა ერთობლიობით წარმოებს MYVIDEO TV BOX -ის გამოყენება / ექსპლოატაცია.

4.5. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ITDC არ არის პასუხისმგებელი MYVIDEO TV BOX -ის ჯეროვანი გამოყენება / ექსპლოატაციით წარმოშობილ რაიმე სახის ზიანზე.

5. ქირა და ანგარიშსწორების პირობები

5.1. კლიენტი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მოყოლებული, MYVIDEO TV BOX -ის უკან დაბრუნებამდე პერიოდში არსებულ ყოველ კალენდარული თვეში,1 (ერთი) ცალი MYVIDEO TV BOX -ის სარგებლობაში გადაცემის სანაცვლოდ, გადაიხადოს ქირა 10 (ათი) ლარის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

5.2. ყოველთვიური ქირა გადახდილ უნდა იქნეს წინსწრებით.

5.3. ყოველთვიური ქირის დარიცხვა ჩერდება MYVIDEO TV BOX -ის ტექნიკური წუნის დადასტურების პერიოდში, შესაბამისი დღეების პროპორციით.

5.4. 5.1-ე პუნქტში მითითებული ქირა გადახდილ უნდა იქნეს ნაღდი და/ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.5. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში ქირა ჩარიცხულ უნდა იქნეს საგადამხდელო პროვაიდერების მეშვეობით საგადახდო სისტემით და/ან ITDC-ის საბანკო ანგარიშზე, რომელსაც წარმოადგენს: „თი ბი სი ბანკი“ ა/ა GE12TB7483936020100001.

5.6. მხარეები საგანგებოდ თანხმდებიან მასზედ, რომ ეროვნული ვალუტის 10%-ით და მეტი მაჩვენებლით გაუფასურების შემთვევაში, ყოველთვიური გადასახდელი ქირა ავტომატურად გაიზრდება არანაკლებ იგივე ოდენობით, რაც არ საჭიროებს მხარეთა დამატებით შეთანხმებას.

5.7. მხარეთა შორის ანგარიშსწორებისას პირველყოვლისა იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას) და შემდგომ კი ძირითადი ვალდებულება.

5.8. 1 (ერთი) ცალი MYVIDEO TV BOX გაქირავების მომენტისათვის პირველი თვის ქირის გადახდისას კლიენტს დამატებით ეკისრება MYVIDEO TV BOX -ის ინსტალაციის საფასურის 10 (ათი) ლარის გადახდა.

ITDC

კლიენტი

5.9. კლიენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 ან/და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის 10 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ITDC-ის MYVIDEO TV BOX ყოველგვარი დაზიანების გარეშე, ჩვეულებრივი ცვეთის მხედველობაში მიღებით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონი მხატვრების დასახლება ქუჩა №7 წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხადოს მისი საფასური, მითითებული 6.4-ე პუნქტში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებისათვის თითოეული მხარე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ITDC-ის ცალმხრივი გადაწყვეტილებით კლიენტს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ძირითადი ვალდებულების საბოლოო შესრულებამდე (მათ შორის აღსრულებამდე) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს დაკისრება და მისი გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ITDC უფლებამოსილია პირგასამტეხლოს დაკისრებასთან ერთად დისტანციურად შეუზღუდოს კლიენტს MYVIDEO TV BOX -ით სარგებლობის შესაძლებლობა. ამასთან, MYVIDEO TV BOX -ით სარგებლობის შეზღუდვის მიუხედავად, კლიენტს ეკისრება ყოველთვიური ქირის გადახდის ვალდებულება.

6.4. კლიენტის მიერ MYVIDEO TV BOX -ის დაზიანების /განადგურების (მათ შორის დაკარგვისა და დაუბრუნებლობის) შემთხვევაში და/ან მისი შემთხვევითი დაზიანება / განადგურების შემთხვევაში, მას (კლიენტს) ეკისრება 1 (ერთი) ცალი MYVIDEO TV BOX -ის სრული ღირებულების 169 (ას სამოცდაცხრა) ლარის ITDC-თვის დაუყოვნებლივ გადახდის ვალდებულება.

6.5. ამასთან MYVIDEO TV BOX ის ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში, რაც გულისხმობს MYVIDEO TV BOX დისტანციური მართვის პულტის ან კვების ბლოკის დაზიანების/განადგურებას, (იმ შემთხვევაში თუ თავად მოწყობილობის ბლოკი/პროცესორი დაუზიანებელია) კლიენტს ეკისრება მხოლოდ დაზიანებული ნაწილის ღირებულების ანაზღაურება - დისტანციური მართვის პულტის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში 25 (ოცდა ხუთი) ლარის ოდენობით და კვების ბლოკის დაზიანების/განადგურების შემთხვევაში 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ITDC-ის უფლებას წარუდგინოს კლიენტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დამატებითი მეორადი ხასიათის მოთხოვნები.

7. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაჭრის წესი

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავას განიხილავს და გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლის შესაბამისად და/ან იმ სამართლებრივი ნორმის შესაბამისად, რომელიც დავის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტისათვის ასეთს დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა, რა დროსაც დაუშვებელია უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 წლის ვადით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს ავტომატურად იგივე ვადითა და პირობებით, თუ მოქმედების ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს ხელშეკრულების მოქმედების შემდგომ გაგრძელებაზე. აღნიშნული წესი მოქმედებს ყოველი ვადის ამოწურვისას.

8.3. მხარეები საგანგებოდ თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე ყოველგვარი მოტივაციის გარეშეც მოიშალოს ნებისმიერი მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს, წინასწარ 1 დღით ადრე, განხორციელებული გაფრთხილებით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ამავე ხელშეკრულების სხვა დებულებებისა და მის სრულ ბათილობას, თუ ბათილი დებულების მიუხედავად შესაძლებელია შეთანხმებული საგნის მიღწევა.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ITDC-ის MYVIDEO TV BOX ყოველგვარი დაზიანების გარეშე, ჩვეულებრივი ცვეთის მხედველობაში მიღებით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი,

ITDC

კლიენტი

ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონი მხატვრების დასახლება ქუჩა №7 წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხადოს მისი საფასური, მითითებული 6.4-ე პუნქტში.

8.6. მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და მესამე პირებთან დადებულ გარიგებას, რომ ადგილი არ აქვს მოჩვენებითობასა და/ან სხვა გარიგების დამალვას და რომ არ არსებობს რაიმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი დაბრკოლება, რამაც შეიძლება შეაფერხოს და/ან შეუძლებელი გახადოს წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელება.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სახითა და შინაარსით ცვლილება და დამატება საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას.

8.8. მხარეები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენითა და მასზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების გარეშე, რომელიმე მხარის მხრიდან სხვაგვარი შედეგების დაპირების გარეშე და ნებათა თანხვედრით.

8.9. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თითოეული მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს საკონტაქტო რეკვიზიტების ცვლილების შესახებ, რის თაობაზეც შესაბამისი შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაგზავნილი. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ძველ რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება განიხილება ჩაბარებულად, რასაც სდევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.

9. მხარეთა ხელმოწერა

ITDC-ის მხრიდან

მამუკა მონავარდისაშვილი

_______________ ITDC

კლიენტის მხრიდან

____

_______________ კლიენტი